

დამტკიცებულია შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტის პარტნიორთა კრების
2016 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით
ქალაქი რუსთავი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

წესდება

I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. წესდების რეგულირების სფერო

ეს წესდება არეგულირებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში სასწავლო უნივერსიტეტი) სტატუსს, მიზნებსა და ამოცანებს, სტრუქტურას, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და სასწავლო უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი და სიმბოლიკა

1. სასწავლო უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც არსებობს კერძო სამართლის იურიდიული პირის – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

2. სასწავლო უნივერსიტეტი არის ავტონომიური დაწესებულება, რომელიც დაფუძნებულია განუსაზღვრელი ვადით – „მენარმეთა შესახებ“ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად და მათ საფუძველზე.

3. სასწავლო უნივერსიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „მენარმეთა შესახებ“ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებით, აგრეთვე სხვა მოქმედი ნორმატიული აქტებითა და ამ წესდებით.

4. სასწავლო უნივერსიტეტის სრული სახელწოდებაა – შპს ექვთიმე

თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, ინგლისურად - Ekvtime Takaishvili Theaching University LLC.

5. სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის N 3.

6. სასწავლო უნივერსიტეტს აქვს ბეჭედი საკუთარი სახელწოდებისა და სიმბოლიკის გამოსახულებით, შტამპი და იურიდიული პირისათვის საჭირო სხვა ატრიბუტიკა, დასრულებული ბალანსი და ანგარიშები საბანკო დანესებულებებში.

მუხლი 3. სასწავლო უნივერსიტეტის უფლებაუნარიანობა

1. სასწავლო უნივერსიტეტს დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად აქვს უფლებაუნარიანობა. იგი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს და გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობებში, ღებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

2. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს „მენარმეთა შესახებ“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ და „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებითა და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ წესდებით გათვალისწინებული სასწავლო უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ის საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 4. სასწავლო უნივერსიტეტის დამფუძნებლები/პარტნიორები

1. სასწავლო უნივერსიტეტის დამფუძნებლები/პარტნიორები არიან:

ა) ქმოსტელი გულქან - დაბადებული 1951 წლის 6 ოქტომბერს ქ. კასპში, უმაღლესი განათლებით, მცხოვრები ქ.თბილისი მე-3 მასივი მე-10 კვარტალი, კორპუსი 19, ბინა 9. პირადი/ნ: №01027041658;

ბ) ჩერქეზიშვილი ნუგზარ დაბადებული 1954 წლის 27 სექტემბერს ქ. თბილისში, უმაღლესი განათლებით - იურისტი, მცხოვრები ქ. თბილისი, ცხვედაძის ქ. 2 პირადი/ნ: №01008027617.

გ) შ.პ.ს.-ს მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება. გადაწყვეტილების მიღება ხდება 51 % წილის მფლობელის მიერ.

2. სასწავლო უნივერსიტეტის საწესდებო კაპიტალია 1000 ა.შ.შ. დოლარის ეკვივალენტი ლარში, აქედან ქმოსტელი გულქანის წილია საწესდებო კაპიტალის 49 % 490 ა.შ.შ., ჩერქეზიშვილი ნუგზარის წილია საწესდებო კაპიტალის 51% 510 ა.შ.შ.

დოლარის ეკვივალენტი ლარში.

3. სასწავლო უნივერსიტეტის პარტნიორებს თანაბარ პირობებში აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები.

4. კანონმდებლობით დადგენილი წესით პარტნიორს აქვს თავისი წილის ან წილის ნაწილის დათმობის, ან/და გასხვისების, წილის შექენის და მემკვიდრეობით გადაცემის უფლება.

5. წილის შექენისას თითოეული წილი ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას.

6. პარტნიორები აკონტროლებენ სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის საქმიანობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. სასწავლო უნივერსიტეტის და პარტნიორთა ინტერესების დაცვის მიზნით პარტნიორები თანხმდებიან, რომ არცერთი მათგანი არ გაასხვისებს ან სხვაგვარად არ დატვირთავს თავის წილს ან წილის ნაწილს სხვა პარტნიორების წინასწარი წერილობით თანხმობის გარეშე. ასეთი წერილობითი თანხმობის გაცემის საკითხი უნდა გადაწყდეს პარტნიორთა კრებაზე, სადაც წილის გამსხვისებელი პარტნიორი ხმის უფლებით ვერ სარგებლობს. თუ აღნიშნული წერილობითი თანხმობის გაცემის საკითხი დადებითად ვერ გადაწყდა, მაშინ დარჩენილი პარტნიორები ვალდებული არიან 2 თვის ვადაში საბაზრო ფასად შეიძინონ გასასხვისებელი წილი.

8. თუ 2 თვის ვადაში გასასხვისებელი წილის შესყიდვა არ მოხდა დარჩენილი პარტნიორების მიერ და თუ ეს გამონაკლისი არ იყო გასხვისების სურვილის მქონე პარტნიორის განზრახვი ქმედებით მაშინ ამ მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნული წერილობითი თანხმობა გაცემულად ითვლება.

მუხლი 5. სასწავლო უნივერსიტეტის მისია

სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა:

თანამედროვე თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი მაღალკონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესითა და წარმატებული საქმიანობით ხელს შეუწყობენ თანამედროვე ტიპის მაღალგანვითარებულ, სამართლებრივ, დემოკრატიულ ზნეობრივ და მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე საზოგადოების ჩამოყალიბებას.

მოქმედი სტანდარტების შესაბამისად შექმნილი უმაღლესი

განათლების პირველი და მეორე საფეხურის, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით, ასევე რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამების სწრაფად ცვალებადი საზოგადოებრივი დაინტერესების შესაბამისად რეგულარული გადახედვითა და მოდიფიცირებით: დაინტერესებულ პირებს

შესთავაზოს და მისცეს სათანადო ხარისხისა და ხელმისაწვდომი უმაღლესი აკადემიური და პროფესიული განათლება;

ქვემო ქართლის რეგიონში და საქართველოს სხვა ტერიტორიაზე ეთნიკური უმცირესობით დასახლებული მოსახლეობისთვის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 6. სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურა

1. სასწავლო უნივერსიტეტი შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისაგან – ფაკულტეტისაგან, აგრეთვე ბიბლიოთეკისა და სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისგან (შესაძლებელია შეიქმნას ასევე ლაბორატორიები, საგანმანათლებლო და კვლევით ცენტრები, კლინიკები, დამხმარე მეურნეობები და სხვა). აკადემიური საბჭოს გადანაცვებით ასევე შესაძლებელია შეიქმნას სხვა ისეთი სტრუქტურული ერთეული რომელიც ამ წესდებით გათვალისწინებული არ არის.

2. სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და დამხმარე ორგანოების შექმნის და ლიკვიდაციის საკითხს წყვეტს აკადემიური საბჭო სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების შესაბამისად - კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. სასწავლო უნივერსიტეტის მართვის პრინციპები

სასწავლო უნივერსიტეტის მართვის პრინციპებია:

- ა) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების აკადემიური თავისუფლება;
- ბ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობა სწავლის პროცესში;

პროცესში;

გ) თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სოციალური წარმოშობისა, სქესისა, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსისა;

დ) სამართლიანობა და გამჭვირვალობა მართვის პროცესში, საჯაროობის უზრუნველყოფით.

მუხლი 8. სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოები

1. სასწავლო უნივერსიტეტისა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას ხელმძღვანელობენ და წარმართავენ მართვის ორგანოები (მმართველობითი სუბიექტები).

2. სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია:

- ა) პარტნიორთა კრება;
- ბ) აკადემიური საბჭო;
- გ) რექტორი;
- დ) დირექტორი;
- ე) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 9. პარტნიორთა კრება

1. სასწავლო უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება. იგი სასწავლო უნივერსიტეტის მართვისა და საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისას ანხორციელებს „მენარმეთა შესახებ“ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებით მინიჭებულ უფლებამოსილებას.

2. თითოეული პარტნიორი კრებაზე მონაწილეობს პირადად, აგრეთვე წერილობითი მინდობილობის საფუძველზე მის მიერ დანიშნული რწმუნებულით, რომელიც ნებისმიერ დროს შეუძლია შეცვალოს დანარჩენი პარტნიორებისათვის წერილობითი შეტყობინებით.

3. პარტნიორები აკონტროლებენ სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობას. პარტნიორი უფლებამოსილია გამოიყენოს თავისი ხმის უფლება თავისი შეხედულებისამებრ;

4. პარტნიორთა კრება მოიწვევა სულ ცოტა წელიწადში ერთხელ მაინც. იგი ტარდება პარტნიორებისათვის წლიური ანგარიშის გადაგზავნიდან ერთი თვის ვადაში. დასაშვებია რიგგარეშე პარტნიორთა კრების მოწვევა.

5. საერთო კრების მოწვევამდე პარტნიორებს რექტორისაგან გადაეცემათ მისი დღის წესრიგის პროექტი. პარტნიორები უფლებამოსილნი არიან ცვლილებები შეიტანონ დღის წესრიგში;

6. რექტორი, აგრეთვე პარტნიორები უმრავლესობით უფლებამოსილნი არიან მოიწვიონ რიგგარეშე საერთო კრება სასწავლო უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე კრების მიზნების მითითებითა და დასაბუთებით;

7. საერთო კრების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საერთო კრების თავმჯდომარე.

8. პარტნიორთა კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

- სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის დანიშვნა–გამოწვევა, მასთან შრომითი ხელშეკრულების დადება და მოშლა, ასევე მისი ანგარიშის დამტკიცება;
- სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო–სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპებისა და ძირითადი მიმართულებების, საქმიანობის სახეების განსაზღვრა, გეგმების დამტკიცება;
- სასწავლო უნივერსიტეტის წესდების შეცვლა, მასში ცვლილება–დამატებების შეტანა;
- სასწავლო უნივერსიტეტის ქონების მთლიანად ან ნაწილობრივ გასხვისება,

- სამართლებრივად დატვირთვა, სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია;
- წლიური ანგარიშების მიღება–დამტკიცება, სამეურნეო შედეგების განაწილება;
- წილთა დათმობა, შექმნა და გასხვისება;
- შრომის ანაზღაურების პირობების, მოგებისა და საერთო შემოსავლებში მონაწილეობის პრინციპების განსაზღვრა;
- ახალი პარტნიორების მიღება და სასწავლო უნივერსიტეტიდან პარტნიორების
- გასვლის საკითხის გადაწყვეტა;
- სასწავლო უნივერსიტეტის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- კრედიტების აღებისა და სესხების გაცემის გადაწყვეტილების მიღება;
- წლიური ბიუჯეტის დადგენა, დანახარჯების და ინვესტიციების, წლიური შედეგების დამტკიცება;
- სხვა საზოგადოებებში მონაწილეობა;

9. პარტნიორთა კრების კომპეტენციას განეკუთვნება აგრეთვე კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საკითხები, რომლებიც სცილდებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და რექტორის უფლება–მოსილების ფარგლებს.

10. პარტნიორთა კრების მოწვევა არაა სავალდებულო თუ პარტნიორები წერილობით გამოხატავენ თავიანთ პოზიციას განსახილველ და გადასაწყვეტ საკითხებთან დაკავშირებით.

მუხლი 10. აკადემიური საბჭო

1. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო არის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი მართვის ორგანო, რომლის გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა სასწავლო უნივერსიტეტის ყველა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის, სტრუქტურული ერთეულების, პერსონალის და სტუდენტებისათვის.

2. აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტის ყველა მიმართულებას ჰყავს თანაბარი რაოდენობის წარმომადგენელი.

3. აკადემიური საბჭოს წევრად რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ინიშნება პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

4. აკადემიური საბჭოს წევრის დანიშვნის ვადა ემთხვევა ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის ხანგრძლივობას, ეს ვადაა 4 წელი;

5. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განახლებას ექვემდებარება ერთი მესამედით ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის დადგენილი ხანგრძლივობის ნახევრის გასვლის შემდეგ.

6. აკადემიური საბჭოს წევრის სტატუსის მოპოვების საფუძველია საბჭოს წევრად მისი დანიშვნა.

7. აკადემიური საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- სასწავლო უნივერსიტეტთან მისი აკადემიური თანამდებობის შეწყვეტა;
- პირადი განცხადება;

- გარდაცვალება.

8. აკადემიური საბჭო:

- შეიმუშავებს და ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების სტრატეგიულ გეგმას;
- ფაკულტეტების წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს.
- ხელს უწყობს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან;
- შეიმუშავებს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის და სასწავლო – სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობის შეფასებათა წესებსა და კრიტერიუმებს;
- შეიმუშავებს და ამტკიცებს აკადემიური თანამდებობის დაკავების კონკურსის წესს;
- ხელს უწყობს ქვეყნისა და საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის, მობილობის და ინტეგრირებული სწავლების, პროგრამების შექმნას;
- ამტკიცებს კრედიტების აღიარების წესს;
- განიხილავს და რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;
- სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, აგრეთვე ძირითად ფაკულტეტზე/საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტის საბჭოების წარდგინებით;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით ამტკიცებს სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტებს სამაგისტრო გამოცდებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტზე/საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ძირითადი ფაკულტეტის საბჭოების წარდგინებით;
- მონაწილეობას ღებულობს სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევაში, განიხილავს და რექტორთან შეთანხმებით ამტკიცებს ბიბლიოთეკის სამუშაო განრიგს.
- თავისი შემადგენლობიდან ირჩევს აკადემიური საბჭოს მდივანს, რომელიც პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოს ოქმების შედგენასა და საქმეთა წარმოებაზე;
- ადგენს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების აღიარების წესს;
- ანხორციელებს ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებით;

9. აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება აკადემიური საბჭოს ოქმით და გადაწყვეტილებით. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებებს ხელს აწერს რექტორი - აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.

10. გადაწყვეტილების მიღების მიუღწევლობის შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტის, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის პარტნიორთა კრება და რექტორი უფლებამოსილნი არიან დაითხოვონ აკადემიური საბჭო და არაუგვიანეს ორი თვისა მოახდინონ საბჭოს ახალი შემადგენლობის ფორმირება.

12. აკადემიურის საბჭოს დათხოვნიდან ახალი საბჭოს წევრების არჩევამდე, მის უფლებამოსილებას ახორციელებს სასწავლო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

13. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომებს იწვევს და თავმჯდომარეობს რექტორი. დასაშვებია სხდომის მოწვევა საბჭოს წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით.

14. აკადემიური საბჭოს წევრებს წინასწარ უნდა ეცნობოთ სხდომის ჩატარების დღის წესრიგი, დრო და ადგილი. დღის წესრიგი თვალსაჩინოებისათვის განთავსდება საინფორმაციო დაფაზე.

15. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

16. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი მაინც, თუ ამ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. აკადემიური საბჭოს თითოეულ სხდომაზე დგება ოქმი, რომელშიც უნდა აღინიშნოს:

- მართვის ორგანოს (ე.ი. აკადემიური საბჭოს) დასახელება;
- სხდომის ჩატარების დრო და ადგილი;
- სხდომის თავჯდომარისა და დამსწრე წევრების ვინაობა;
- განსახილველი საგანი;
- კენჭისყრის შედეგები;
- მიღებული გადაწყვეტილება.

18. აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავჯდომარე და მდივანი და ბოლო გვერდზე დაისმება სასწავლო უნივერსიტეტის ბეჭედი.

19. „უმალღესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სამოქალაქო და სამეცნიერო კანონმდებლობისა და სასწავლო უნივერსიტეტის, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის შესაბამისად, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებისა და დებულების საფუძველზე – აკადემიურ საბჭოს ხელმძღვანელი და თავჯდომარეა სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, რომელსაც ნიშნავს სასწავლო უნივერსიტეტის პარტნიორთა კრება თავისი გადაწყვეტილების შესაბამისად კონკურსისა და არჩევნების გარეშე.

20. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს აკადემიური საბჭოს მდივანი - საქმის წარმოების დოკუმენტური და

საინფორმაციო მომსახურების თვალსაზრისით.

21. მდივანს, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, ნიშნავს, აკადემიური საბჭო, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

22. მდივანი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით ადგენს სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხას, რომლებსაც გაცნობის მიზნით გადასცემს აკადემიური საბჭოს წევრებს.

23. აკადემიური საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან დღის წესრიგში შეიტანონ დამატებითი საკითხები, რის შესახებაც სამდივნოს უნდა ეცნობოს სხდომის დაწყებამდე სულ მცირე ორი დღით ადრე.

მუხლი 11. რექტორი

1. რექტორი (აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე): არის სასწავლო უნივერსიტეტის საერთო ხელმძღვანელი და უმაღლესი თანამდებობის პირი და წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. სამეურნეო, ადმინისტრაციულ, აკადემიურ თუ სამეცნიერო სფეროებში.

2. თავის გადაწყვეტილებებს რექტორი ღებულობს დამოუკიდებლად და ერთპიროვნულად, ხოლო სასწავლო – კვლევით საკითხებზე აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით. რექტორის გადაწყვეტილებები ფორმდება ბრძანებების სახით.

3. რექტორი უფლებამოსილია სასწავლო უნივერსიტეტის სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები, განსაზღვროს სტრუქტურული ერთეულებისა და მართვის ორგანოების ფორმირების წესები მიიღოს გადაწყვეტილებები აკადემიური პერსონალისა და სასწავლო უნივერსიტეტის სხვა მუშაკების სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების, მათთან შრომითი ხელშეკრულების დადების და მოშლის შესახებ და სხვა.

4. რექტორი, სასწავლო უნივერსიტეტის როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი, უფლებამოსილია სასწავლო უნივერსიტეტი მართოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებისა და ღებულებების საფუძველზე.

5. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

6. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორისა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და მართვის ორგანოებისათვის.

7. რექტორი:

- ქმნის რექტორის აპარატს, სტრუქტურულ ერთეულებს, ამტკიცებს მათ დებულებებს, საქმიანობის ინსტრუქციებსა და წესებს;
- სამუშაოდ ღებულობს და სამუშაოდან ათავისუფლებს სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლებს;
- ნიშნავს თავის მოადგილეებს და სხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებს;
- მართავს საგანმანათლებლო პოლიტიკას და სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის პროცესს;
- ხელს აწერს სასწავლო უნივერსიტეტის დამთავრების დამადასტურებელ დიპლომებს, სერტიფიკატებს სასწავლო და გადასამზადებელ კურსების დამთავრების შესახებ;
- ხელს აწერს საპატიო წოდებებისა და აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის დამადასტურებელ დოკუმენტებს;
- ატარებს კონსულტაციებს სასწავლო უნივერსიტეტში არსებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მათ შორის სტუდენტურ თვითმმართველობასთან;
- ზრუნავს სწავლისა და სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის,
- ქმნის საჭირო პირობებს მაღალი აკადემიური ხარისხის უზრუნველსაყოფად;
- წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტს მესამე პირებთან ურთიერთობებში, გასცემს რწმუნებულებებს წარმომადგენლობის შესახებ;
- აფორმებს ხელშეკრულებებს სასწავლო უნივერსიტეტის პედაგოგებთან, პერსონალთან და სტუდენტებთან;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში რექტორს შეუძლია ისეთი გადანყვეტილებების მიღება, რომელიც აღემატება მის რწმუნებებს, მაგრამ მოვალეა ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს პარტნიორებს;
- უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის ფარგლებში მოკვლევის, გამოძიების და სხვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან კანონით განსაზღვრული მოქმედებების ჩატარებას.

8. რექტორი უფლებამოსილია შეაჩეროს სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერი თანამდებობის პირების გადანყვეტილებები;

9. რექტორი პასუხისმგებელია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური, კომერციული, სამეურნეო და შემოქმედებითი საქმიანობის შედეგებზე და ანგარიშვალდებულია მხოლოდ პარტნიორთა კრების წინაშე.

10. რექტორი წარუდგენს პარტნიორთა კრებას ინფორმაციას სასწავლო

უნივერსიტეტის რენტაბელობის შესახებ (წლიური ანგარიშის განხილვისას) სასწავლო-სამეურნეო პოლიტიკის შესახებ, იმ საკითხების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია სასწავლო უნივერსიტეტის განვითარებასთან და სხვა პრინციპულ საკითხებზე.

11. რექტორის არყოფნის ან მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში რექტორის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე ადმინისტრაციის დარგში.

12. რექტორი თავის უფლება-მოსილებებს ანხორციელებს უშუალოდ, აგრეთვე თავისი მოადგილეებისა და აპარატის მეშვეობით;

13. რექტორს სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სფეროში თავისი ფუნქციების განხორციელებაში ეხმარება მოადგილე სამეცნიერო დარგში - რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს რექტორი.

მუხლი 12. დირექტორი

1. სასწავლო უნივერსიტეტს ჰყავს ასევე დირექტორი რომელსაც ნიშნავს/ათავისუფლებს პარტნიორთა კრება და რომელიც შპს „ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს“ შეუზღუდავად წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობებში.

2. დირექტორი:

- უფლებამოსილია სასწავლო უნივერსიტეტის სახელით ბიუჯეტის შესაბამისად დადოს ფინანსური და ეკონომიკური გარიგებები თავისი კომპეტენციის ფარგლებში რექტორთან შეთანხმებით;
- ადგენს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
- ადგენს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესებს, მათი შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს;
- პასუხისმგებელია სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობაზე;
- ანგარიშვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორისა და პარტნიორთა კრების წინაშე;
- უზრუნველყოფს სასწავლო სასწავლო უნივერსიტეტის გადანყვეტილებების, რექტორის ბრძანებისა და დირექტივების, წარმომადგენლობითი და მმართველობის ორგანოების აქტების ხელმისაწვდომობას აკადემიური საბჭოს წევრებისათვის;
- უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების აკადემიურ

- თავისუფლებას;
- უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობას სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა და გადანყვეტილებების მიღებაში;
- უზრუნველყოფს თანასწორობას - განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა და სოციალური წარმოშობისა თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა;
- ადგენს ბიუჯეტის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს.

მუხლი 13. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმართვას, აგრეთვე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების კოორდინაციას და ხარისხის სისტემატურ შეფასებას;
2. ხელს უწყობს აკადემიური კადრების მონაწილეობას კონფერენციებსა და ტრენინგებზე მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
3. თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს სასწავლო უნივერსიტეტის ერთიანი პოლიტიკის განხორციელებაში სწავლების სრულყოფის, ხარისხის ამაღლების მიზნით;
4. ზრუნავს სწავლების ხარისხის ამაღლებაზე სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვითა და ავტორიზაციის/აკრედიტაციისთვის თითქმისების მომზადების გზით.
5. იკვლევს და აფასებს სასწავლო პროცესში მიმდინარე მოვლენებს;
6. ატარებს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ხარისხის მონიტორინგს;
7. კავშირს ამყარებს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად;
8. ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი გაუმჯობესებისათვის;
9. აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს საგანმანათლებლო პროგრამებს;
10. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს (შემდგენი - სამსახური) ჰყავს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.
11. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე და ასრულებს მის მიერ კანონისა და ამ დებულების საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.
12. სამსახურის უფროსი:
 - ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;
 - აწარმოებს ფუნქციებსა და მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
 - წარადგენს ანგარიშს სამსახურის მუშაობის შესახებ რექტორის დავალებით;

- შუამდგომლობს იმ სახსრებისა და მატერიალური საშუალებების გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა სამსახურის საქმიანობისთვის და ამოცანების შესასრულებლად;
- ორგანიზებას უწევს ამ დებულებით სამსახურისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს რექტორს წინადადებებს ცალკეული საკითხების მონესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;
- ახორციელებს ამ დებულებით, სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს.

მუხლი 14. ბიბლიოთეკა

1. სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა შექმნილია სასწავლო უნივერ-სიტეტის მიერ და არის სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელშიც განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოგრაფიული ფონდი – საგანმანათლებლო ერთეულების სახელმძღვანელო, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, ბეჭდვითი გამოცემები და სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები, აგრეთვე ისტორიული, მხატვრული, საინფორმაციო და სხვა სახის ლიტერატურული და საინფორმაციო მასალა.
2. სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმოადგენს კულტურულ-საგანმანათლებლო სამეცნიერო-ინფორმაციულ ორგანოს, რომლის ძირითადი დანიშნულებაა სრულად და ეფექტურად გამოიყენოს თავისი ფონდები და სხვა საბიბლიოთეკო რესურსები სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის, აგრეთვე სასწავლო უნივერსიტეტის გარე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
3. ბიბლიოთეკა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით და ბიბლიოთეკის დებულებით, აგრეთვე ამ წესდებით.
4. ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანაა სასწავლო უნივერსიტეტში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარება და ეროვნული მემკვიდრეობის დაცვა-პოპულარიზაციას.
5. ბიბლიოთეკის ძირითად მიზნებს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის ამალღება-გაღრმავების ხელშეწყობა სათანადო სახელმძღვანელოებითა და მეთოდური ლიტერატურით.
6. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს:
 - მკითხველთა სწრაფ და სრულ დაკმაყოფილებას მათთვის საჭირო ლიტერატურითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით

(ბეჭდური ხელნაწერი, ელექტრონული და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები).

- ხელსაყრელი პირობების შექმნას პიროვნების შემოქმედებითი განვითარებისათვის.
 - შესაბამის პროფილების ლიტერატურისა და დოკუმენტების შეგროვებას და მათ სათანადო დაცვა-მოვლაპატრონობას.
 - საბიბლიოთეკო ფონდებით სარგებლობის ხელმისაწვდომობასა და მომსახურების მაღალ დონეს როგორც ადგილზე, ისე სახელმძღვანელო და სხვა სახის ლიტერატურისა და დოკუმენტების დროებით სარგებლობაში გაცემით.
7. ბიბლიოთეკის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:
- მკითხველთა თანასწორუფლებიანობა;
 - ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და შეუზღუდაობა;
 - საბიბლიოთეკო სტატისტიკის წარმოება, კავშირების დამყარება ქვეყნისა და საზღვარგარეთის საბიბლიოთეკო ორგანიზაციებთან, გამომცემლობებთან.
 - თანამედროვე ავტომატიზირებული ელექტრონული სისტემების დანერგვა საბიბლიოთეკო საქმიანობაში, ინტერნეტის ქსელის გამოყენება მკითხველთა მომსახურებისა და საჭირო ლიტერატურის მოსაძიებლად.
 - საბიბლიოთეკო საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესასრულებლად.
8. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი და იგი თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.
9. ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ბიბლიოთეკის უფროსის რეკომენდაციით, ან მის გარეშე ნიშნავს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.
10. ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შრომითი ურთიერთობები რეგულირდება შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესებით.
11. ბიბლიოთეკის უფროსი:
- წარმართავს და ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკის საერთო საქმიანობას,
 - უზრუნველყოფს წიგნადი და სხვა ფონდების გამდიდრებას და მათ დაცვას, მოვლა-პატრონობას, ბიბლიოთეკასა და წიგნსაცავებში ჰიგიენური და კლიმატური რეჟიმის დაცვის ფონდების რესტავრაციასა და კონსერვაციას.
 - შეიმუშავებს ბიბლიოთეკის შინაგანაწესს, ბიბლიოთეკის ფონდებით სარგებლობის წესებს და უზრუნველყოფს მათ დაცვას.
 - წარუდგენს რეკომენდაციებს, მოსაზრებებსა და წინადადებებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს ბიბლიოთეკის ფონდების შევსების, ორგანიზაციულ-საკადრო და სხვა საკითხების გადასაწყვეტად.
 - ყოველი სასწავლო წლის ბოლოს წარუდგენს ანგარიშს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ.
12. ბიბლიოთეკა უფლებამოსილია:

- საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციები განახორციელოს დამოუკიდებლად.
- ბიბლიოთეკის ფონდები განაგოს კანონმდებლობით და ამ დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად.
- მიიღოს შესაბამისი ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც დაარღვევენ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს ან მატერიალურ ზიანს მიაყენებენ ბიბლიოთეკას.

ითანამშრომლოს სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურებთან, ქვეყნისა და უცხოეთის საბიბლიოთეკო და საგამომცემლობო დაწესებულებებთან.

ენოდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვასაბიბლიოთეკო საქმიანობასთან დაკავშირებულ მოღვაწეობას.

13. ბიბლიოთეკა ვალდებულია:

- თავისი საქმიანობა წარმართოს კანონმდებლობისა და ამ დებულების საფუძველზე და მათ შესაბამისად.
- სისტემატურად დააკომპლექტოს ფონდები პროფილის შესაბამისად საბიბლიოთეკო დოკუმენტებით და უზრუნველყოს მათი ასახვა საინფორმაციო-საცნობარო საშუალებებში.
- უზრუნველყოს მკითხველთა მომსახურების მაღალი დონე მათი ინტერესების შესწავლისა და ბიბლიოთეკის რესურსების კოოპერირების საფუძველზე.

მუხლი 15. ფაკულტეტი

1. ფაკულტეტი არის სასწავლო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელსაც ქმნის აკადემიური საბჭო და რომელიც უშუალოდ განახორციელებს სწავლისა და სწავლების პროცესს უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პოლიტიკის თვარგლებში.

2. ფაკულტეტზე ყალიბდება ისეთი აკადემიური პროგრამები, რომლებიც ემყარება საბაზრო კონიუნქტურისა და დამსაქმებლის მოთხოვნებს.

3. ფაკულტეტი ხელს უწყობს მათ აკადემიური პერსონალის პროფესიულ და პედაგოგიურ ზრდას.

4. ფაკულტეტი ქმნის ყველა პირობას სტუდენტთა პროფესიული და ინდივიდუალური განვითარებისათვის

5. ფაკულტეტზე იქმნება კომისიები ბაკალავრის, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის, შემუშავდება საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების სტანდარტები, მათი დაცვის და შეფასების წესები.

მუხლი 16. ფაკულტეტის სტრუქტურა

ფაკულტეტის სტრუქტურაში შედის ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 17. ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტის დეკანი არის ფაკულტეტის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიური საბჭო რექტორის წარდგინებით.
2. დეკანი მოქმედებს ფაკულტეტის სახელით, პასუხისმგებელია ფაკულტეტის უძრავ-მოძრავ ქონებასა და მათი ხარისხის შენარჩუნებაზე
3. დეკანი:
 - შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად ფაკულტეტის სტრუქტურას და დებულებას, აკადემიურ და კვლევით პროგრამებს.
 - კოორდინაციას უწევს სასწავლო-სამეცნიერო მუშაობას, უშუალოდ პასუხისმგებელია აკადემიური პროგრამების სრულად განხორციელებაზე.
 - ზრუნავს სტუდენტთა და პედაგოგთა სოციალურ დაცვაზე, მათ პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაზე.
 - ქმნის და განახორციელებს მექანიზმებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორისა და აკადემიური საბჭოს გადანყვეტილებების რეალიზაციისათვის;
 - ამტკიცებს პროგრამების ხელმძღვანელებს, აკონტროლებს აკადემიური და
 - დამხმარე პერსონალის საქმიანობას;
 - თვალყურს ადევნებს სტუდენტთა და პედაგოგთა სარეიტინგო მონაცემებს, მართავს ინდივიდუალურ შეხვედრებს;
 - ხელს უწყობს სწავლისა და სწავლების პროცესის ერთიან, პროცესად ჩამოყალიბებას და განვითარებას, ქმნის საჭირო პირობებს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა პროფესიული განვითარებისათვის;
 - უშუალოდ ხელმძღვანელობს პროფესიული კადრების შერჩევასა და მოზიდვის პროცესს, შეიმუშავებს და განახორციელებს მიზნობრივ ღონისძიებებს, მათ შორის კონკურსებს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, პასუხისმგებელია აკადემიური პერსონალის პედაგოგიური დატვირთვის სწორად განაწილებაზე;
 - უშუალოდ პასუხისმგებელია ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის მიმდინარეობასა და დისციპლინის, შინაგანაწესისა და ეთიკის ნორმების დაცვაზე;
 - აღძრავს შუამდგომლობას რექტორის წინაშე ახალი სტრუქტურული რგოლების
 - შექმნის, საშტატო ერთეულების დამატება-გაუქმების, მატერიალური რესურსების შევსება-ჩამონერის შესახებ;
4. დეკანი დამოუკიდებლად გადანყვეტილების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში აყენებს საკითხს აკადემიური საბჭოსა და რექტორის წინაშე.

მუხლი 18. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის $\frac{1}{4}$ -ზე ნაკლები.

2. ფაკულტეტის საბჭო:

- დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს განხილვა-დამტკიცების მიზნით წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას და სასწავლო და პროგრამებს;
- დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და წარუდგენს რექტორსა და აკადემიურ საბჭოს განხილვა-დამტკიცების მიზნით;
- შეიმუშავებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს;
- ქმნის სწავლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს;
- ფაკულტეტის საბჭო მოქმედების სასწავლო უნივერსიტეტის წესდებისა და დებულების, აგრეთვე თავისი დებულების შესაბამისად და ანხორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლება-მოვლილებებს;
- საბჭო თავის გადანყვეტილებებს იღებს სხდომებზე. სხდომა უფლება-მოვლია, თუ მას ესწრება წევრთა შემადგენლობის ნახევარი მაინც. გადანყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით და ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს ფაკულტეტის დეკანი და სხდომის მდივანი;
- საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს და საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობს ფაკულტეტის დეკანი.

II. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალი

მუხლი 19. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

1. სასწავლო უნივერსიტეტის დანესებულების აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.

2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნებიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

3. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ.

4. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

მუხლი 20. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე საბუთების მიღებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე. საბუთების მიღება გრძელდება არანაკლებ ერთი და არაუმეტეს სამი კვირისა. კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ სამი დღისა და არაუგვიანეს ერთი კვირის ვადაში.

3. კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

მუხლი 21. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები

1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევები და რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას;

ბ) სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ აკადემიური თანამდებობების დაკავების წესში მოცემულ სხვა კრიტერიუმებს.

2. პირი პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ აირჩევა.

3. პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროფესორის ატესტაციის წესის შესაბამისად.

4. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

5. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის

აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი 4 წლის ვადით.

6. ასისტენტის თანამდებობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულების წესდებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 4 წლის ვადით.

7. ამ მუხლის პირველი, მე-4 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავება შესაძლებელია ასევე იმ პირთა მიერ, რომელთაც არ გააჩნით აღნიშნული პუნქტებით გათვალისწინებული წინაპირობები, მაგრამ მათი კვალიფიკაცია დასტურდება პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან პუბლიკაციებით.

8. აკადემიურ თანამდებობაზე პირის აირჩევვის ვადა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით. ყოველი ვადის დამთავრების შემდეგ პირს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კონკურსში იმავე ან უფრო მაღალი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

მუხლი 22. აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობები

აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესით განსაზღვრული პირობებითა და ვადით.

მუხლი 23. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლება

1. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებია:

- პირადი განცხადება;
- ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
- ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების უხეში
- ან სისტემატური დარღვევა;
- შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;
- კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

2. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანებას გამოსცემს რექტორი.

მუხლი 24. საპატიო დოქტორი

1. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო უფლებამოსილია განიხილოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო სასწავლო ინივერსიტეტის საპატიო დოქტორის სტატუსის მინიჭების საკითხი.

2. საპატიო დოქტორის სტატუსის მინიჭებისას აუცილებელია იმ პირის თანხმობა რომელსაც უნდა მიენიჭოს აღნიშნული სტატუსი.

3. კონკრეტული პირისათვის საპატიო დოქტორის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას აკადემიური საბჭო ითვალისწინებს მის ღვაწლს საქართველოს განათლების სისტემის განვითარების ან კონკრეტული სამეცნიერო დარგის დამუშავების საქმეში.

მუხლი 25. აკადემიური პერსონალის უფლებები

1. აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:

- მონაწილეობა მიიღოს სასწავლო უნივერსიტეტის მართვაში „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონისა და დაწესებულების წესდების შესაბამისად;
- ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;
- საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;

მუხლი 26. აკადემიური პერსონალის ვალდებულებები

აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

- შეასრულოს აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრული ოდენობა, რომელიც შეადგენს:
 - ა) პროფესორი - 10 საათი კვირაში;
 - ბ) ასოცირებული პროფესორი 12 საათი კვირაში;
 - გ) ასისტენტ პროფესორი 16 საათი კვირაში;
 - დ) ასისტენტი - 12 საათი (მხოლოდ სასემინარო მეცადინეობებისათვის).
- პედაგოგიური დატვირთვის პარალელურად, განახორციელოს ყოველკვირეული კონსულტაციები, სტუდენტებისათვის სასწავლო კურსის გარშემო, ასევე დარგის კვლევით პრობლემატიკაზე, მის მიერ განხორციელებული თითოეული სასწავლო კურსისათვის კვირაში 1 საათის რაოდენობით;
- დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნები;
- დაიცვას ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;
- შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;
- ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების დასრულების შემდეგ წარმოადგინოს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

მუხლი 27. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ქცევის ნორმები

1. სასწავლო უნივერსიტეტი აღიარებს და იცავს პედაგოგიური პერსონალის აკადემიურ თავისუფლებას მიაჩნია რა იგი სწორად სწავლებისათვის;

2. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი უნდა დაემორჩილოს ნებისმიერ საკანონმდებლო და სამეწარმეო მოთხოვნას, რომელიც დაკავშირებულია სწავლის პროცესთან, ასევე აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებებსა და რექტორის ბრძანებებს;

3. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ვალდებულია განერიდოს ისეთ სიტუაციებს, რომლებმაც შეიძლება პირდაპირ და არაპირდაპირ ზიანი მიაყენონ სასწავლო უნივერსიტეტის სახელსა და ავტორიტეტს;

4. სასწავლო უნივერსიტეტის იმ პერსონალმა, რომელთაც შეეხება აქვთ სასწავლო უნივერსიტეტის დოკუმენტაციასთან საიდუმლოდ უნდა შეინახონ შესაბამისი ინფორმაცია, ასევე კონფიდენციალურია პერსონალისა და სტუდენტების პირადი საქმეები გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სამართალდამცავი ორგანოების წერილობითი მოთხოვნა.

5. სასწავლო უნივერსიტეტი აღიარებს პერსონალის ინტელექტუალურ საკუთრებას და წახალისებს მას (ეს არის გამოგონებები, საავტორო უფლებები და ა.შ.).

7. სასწავლო უნივერსიტეტის პედაგოგიური პერსონალის მიერ თავიანთი საქმიანობის სფეროში განხორციელებული საქმიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სასწავლო უნივერსიტეტის ინტერესებს და არ უნდა აფერხებდეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას.

III. სწავლა და სწავლება

მუხლი 28. სწავლების საფეხურები

1. სასწავლო უნივერსიტეტში სწავლების საფეხურებია:

- პროფესიული განათლება;
- ბაკალავრიატი;
- მაგისტრატურა.

2. პროგრამის გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ამ პროგრამაში ჩარიცხულ სტუდენტთა გადარჩენილებას სხვა სასწავლო პროგრამებზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 29. პროფესიული განათლება

1. სასწავლო უნივერსიტეტი განახორციელებს პროფესიული განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს.

2. პროფესიული განათლების საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნების შესრულების შემდეგ სტუდენტს მიენიჭება საქართველოს განათლების სფეროში

მოქმედი სამართლებრივი აქტებისა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო მოთხოვნების თანახმად შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია;

3. პროფესიული კვალიფიკაციის საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლა დასრულებულად ითვლება შესაბამისი საფეხურზე მოთხოვნილი კრედიტების რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნების შესრულებით;

4. კრედიტების დაგროვდება ხორციელდება სასწავლო დისციპლინისა და სხვა სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტების დადებითი საბოლოო შეფასებით დასრულებით.

5. პროფესიული განათლების საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილი იქნება ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად.

მუხლი 30. ბაკალავრიატი

1. ბაკალავრის, როგორც უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი საფეხურის აკადემიური პროგრამის მიზანია სტუდენტთა პროფესიული მომზადება და შესაბამისი სპეციალობის თეორიული საფუძვლების სწავლება, რაც აუცილებელია მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად ან პრაქტიკული საქმიანობის დასაწყებად.

2. ბაკალავრის პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს.

მუხლი 31. მაგისტრატურა

1. მაგისტრატურა, უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურის მიზანია სტუდენტთა მომზადება კვალიფიკაციის ამაღლება და შეცვლა. შესაძლებელია მაგისტრატურაში სხვა სპეციალობით სწავლის გაგრძელება.

2. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს.

მუხლი 32 . სტუდენტის შეფასება

სტუდენტის შეფასების სისტემა განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი აქტებით.

IV. სტუდენტი

მუხლი 33. სტუდენტის ცნება

1. სტუდენტი არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე ჩაირიცხა

სასწავლო უნივერსიტეტში. სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა და მობილობა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

მუხლი 34. სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

1. სტუდენტი უფლებამოსილია:

- მოითხოვოს და მიიღოს ხარისხიანი უმაღლესი განათლება;
- სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით, დებულებებითა და შინაგანაწესით დადგენილი ნორმებით ისარგებლოს სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, თარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი ან თავად იქნეს არჩეული სტუდენტური თვითმმართველობის და ფაკულტეტის საბჭოში;
- თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი და უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომლებსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესში;
- სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებით;
- გადავიდეს სასწავლო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტზე ან სხვა უმაღლეს სასწავლებელში;
- აირჩიოს სასწავლო პროგრამა, მიიღოს მონაწილეობა ინდივიდუალური
- სასწავლო პროგრამის შემუშავებაში;
- მიიღოს მონაწილეობა და გამოხატოს თავისი შეხედულებები სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და პედაგოგიური პერსონალის მუშაობის შეფასებაში.
- განახორციელოს ამ წესდებით, ხელშეკრულებებით, სასწავლო უნივერსიტეტის ნორმატიული აქტებით და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებები.

2. სტუდენტი ვალდებულია:

- სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ის საგანი, რომელიც აირჩია და რომელთა სწავლაც სავალდებულოა;
- განუხრელად დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, დებულებები და შინაგანაწესის მოთხოვნები;
- განუხრელად დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტთან ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები;
- განუხრელად დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის ეთიკის
- კოდექსის პრინციპები და მოთხოვნები;
- დაიცვას და გაუფრთხილდეს სასწავლო უნივერსიტეტის ქონებას,

მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს;

- დაიცვას ეკოლოგიურ-სანიტარული, ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების სხვა ზოგადი ნორმები.

3. ურთიერთვალდებულებები და უფლება-მოვალეობები სტუდენტსა და სასწავლო უნივერსიტეტს შორის დგინდება და რეგულირდება სასწავლო უნივერსიტეტის წესდება-დებულებებით, სტუდენტის ეთიკის კოდექსითა და ხელშეკრულებებით, აგრეთვე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

4. სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტში დასაშვებია სტუდენტთა სპორტული და კულტურული განვითარების ცენტრების შექმნა.

5. სასწავლო უნივერსიტეტის მიზანია სტუდენტებს ხელი შეუწყოს სასწავლო უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ნაშრომების გამოქვეყნებას, მართავს სამეცნიერო მეთოდურ და თემატურ კონფერენციებს, ხელმძღვანელობს მათ მონაწილეობას სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების ანალოგიურ კონფერენციებში, ატარებს კონკურსებს საუკეთესო საუნივერსიტეტო ნაშრომის გამოსავლენად, წახალისებს ავტორებს დიპლომებითა და სიგელებით.

მუხლი 35. სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა

1. სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ წესდებით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებითა და სამართლიანი პროცედურის გზით. უნივერსიტეტი შეიმუშავებს სტუდენტის ეთიკის კოდექსს, რომელიც შესაძლებელია აწესებდეს შეზღუდვას სტუდენტის ქცევაზე, თუ ეს დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვასთან. უნივერსიტეტი დეტალურად განსაზღვრავს ქცევის წესს, რომელიც იწვევს სტუდენტის დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

2. სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის წამოწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა ამ წესდებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, უნივერსიტეტის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას. სტუდენტის დისციპლინური დევნის საკითხს წყვეტს რექტორი. სტუდენტს უფლება აქვს, დაესწროს თავისი საქმის განხილვას.

3. დისციპლინური დევნის განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

- წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ;
- დაესწროს დისციპლინური დევნის საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

- მიანდოს რექტორს მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
- მონაწილეობა მიიღოს რექტორის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;
- მოითხოვოს მის მიმართ დისციპლინური დევნის შესახებ საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

4. სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს. დისციპლინური დევნის განხორციელების შესახებ გადანყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს. ყველა მტკიცებულება, რომელიც დისციპლინური დევნის საფუძველია, უნდა გამოიკვლიოს რექტორმა.

5. სტუდენტს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს რექტორის მიერ მის მიმართ მიღებული გადანყვეტილება.

მუხლი 36. სტუდენტური თვითმმართველობა

1. სასწავლო უნივერსიტეტში იქმნება სტუდენტთა თვითმმართველობა, რომლის საქმიანობაში ადმინისტრაციას არა აქვს ჩარევის უფლება. სტუდენტური თვითმმართველობა მოქმედებს თავისი დებულების შესაბამისად.

2. თვითმმართველობა იქმნება არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. ფაკულტეტებზე არჩეული თვითმმართველობების ერთობლიობა წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმმართველობას.

3. სტუდენტური თვითმმართველობა:

- უზრუნველყოფს სტუდენტების მონაწილეობას სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მართვაში;
- ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;
- ირჩევს წარმომადგენლებს სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით ორგანოებში;
- უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები ფაკულტეტისა და სასწავლო უნივერსიტეტის სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად;
- მონაწილეობს სწავლების ხარისხის შეფასებაში და განახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.
- სტუდენტური თვითმმართველობის წესდებას ან მასში ცვლილებას ან დამატებას ამტკიცებს აკადემიური საბჭო, რომელსაც შეიმუშავენ სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები.

მუხლი 37. სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება შეწყვეტა და აღდგენა

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:
 - პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
 - უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;
 - ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
 - ფინანსური დავალიანება;
 - დისციპლინური გადაცდომა.
2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:
 - პირადი განცხადება;
 - ხუთ წელზე მეტი ხნით სტუდენტის სტატუსის შეჩერება;
 - საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
 - გარდაცვალება;
 - სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა.
3. უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნორმატიული აქტებით.
4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ნიშნავს უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით გათავისუფლებას, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;
5. ბაკალავრიატის/მაგისტრატურის სტუდენტის სტატუსის შეჩერებული პირი არ განიხილება უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების რეესტრში სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგისტრაციას მათი საერთო რაოდენობის აღრიცხვა-დაზუსტების მიზნით;
6. ბაკალავრიატის/მაგისტრატურის სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის დადგენილ სტუდენტების მისაღები ადგილების რაოდენობას.
7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება (სტუდენტის სტატუსის აღდგენა) დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 38. სტუდენტთა მობილობა

1. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები სარგებლობენ მობილობის და შიდა მობილობის უფლებით წელიწადში ორჯერ, სასწავლო სემესტრების დაწყებამდე.
2. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან გადავიდეს სასწავლო უნივერსიტეტის მეორე საგანმანათლებლო

პროგრამაზე ერთი საფეხურის ფარგლებში (შიდა მობილობა).

3. სტუდენტები სარგებლობენ მობილობის უფლებით, ანუ სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში გადასვლის უფლებით.

4. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დაწესებულება, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში თვითონ სასწავლო უნივერსიტეტი. მობილობისას საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა დგინდება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ.

5. სტუდენტთა მობილობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი დებულებით.

V. სასწავლო უნივერსიტეტის ქონება და ფინანსები

მუხლი 39. სასწავლო უნივერსიტეტის ქონება

1. სასწავლო უნივერსიტეტის ქონება შედგება ძირითადი და საბრუნავი საშუალებების, ფონდებისა და რეზერვებისაგან, რომელთა ღირებულება ასახულია ბალანსში და იგი ეკუთვნის პარტნიორებს საერთო წილობრივი საკუთრების უფლებით.

2. სასწავლო უნივერსიტეტის ქონება იქმნება პარტნიორთა შენატანებით, სწავლის გადასახადით, საკონსულტაციო, საგამომცემლო და სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავლებითა და სხვა კანონიერი წყაროებით (შემოწირულობები, გრანტები და ა.შ.).

მუხლი 40. სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსები და დივიდენდების განსაზღვრა

1. სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური რესურსები ყალიბდება მოგების, ამორტიზაციის ანარიცხების, აგრეთვე სხვა ფინანსური საშუალებების ხარჯზე.

2. სასწავლო უნივერსიტეტის საკრედიტო ურთიერთობანი რეგულირდება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით.

3. სასწავლო უნივერსიტეტი საანგარიშსწორებო მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ცხადდება გა კოტრებულად კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

4. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებული ამონაგებით ანაზღაურდება მატერიალური და მასთან გათვალისწინებული დანახარჯები, შრომის ანაზღაურების ხარჯები, კანონით გათვალისწინებული გადასახადები, კრედიტის პროცენტები და ა.შ.

დარჩენილი წმინდა მოგება წარმოებისა და სოციალური განვითარების ფონდების ფორმირების შემდეგ ნაწილდება პარტნიორებს შორის მათი წილების პროპორციულად.

5. წარმოებისა და სოციალური განვითარების და სარეზერვო ფონდების სიდიდეს და მათ მიმართულებებს განსაზღვრავენ პარტნიორები. პარტნიორთა კომპენსაცია ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 41. სასწავლო უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვა, ანგარიშგება და კონტროლი

1. სასწავლო უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება სახელმწიფო საგადასახადო და სხვა ორგანოებთან ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ამ საქმიანობას აწარმოებს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული პირი.

2. სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოების მიმდინარეობაზე კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სასწავლო უნივერსიტეტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზია ტარდება წელიწადში ერთხელ, რიგგარეშე რევიზიები - პარტნიორთა კრების გადანაცვებით ან პარტნიორების მოთხოვნით.

4. თითოეულ პარტნიორს უფლება აქვს შეამოწმოს სასწავლო უნივერსიტეტის წლიური ანგარიშების სისწორე უშუალოდ ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით. ნებისმიერი სახის რევიზია და შემოწმება არ უნდა არღვევდეს საზოგადოების მუშაობის რეჟიმს.

VI. სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 42. სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. სასწავლო უნივერსიტეტი საქმიანობას წყვეტს რეორგანიზაციის (გარდაქმნა, შერწყმა, ნატურით გაყოფა) ან/და ლიკვიდაციის გზით.

2. რეორგანიზაციის დროს სასწავლო უნივერსიტეტის უფლება-მოვალეობები გადადის მის სამართალმემკვიდრეზე;

3. სასწავლო უნივერსიტეტის ლიკვიდაციის შესახებ გადანაცვტილებას იღებს პარტნიორთა კრება, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლო.

4. დაუშვებელია სასწავლო უნივერსიტეტის დაშლა 1 პარტნიორის მიერ.

5. ლიკვიდირებული სასწავლო უნივერსიტეტის ქონება ვალების დაფარვის შემდეგ ნაწილდება პარტნიორთა შორის მათი წილების შესაბამისად.

6. ლიკვიდაცია ითვლება დასრულებულად, ხოლო სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობა შეწყვეტილად სამენარმეო რეესტრში სათანადო რეგისტრაციის შემდეგ.

7. სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაციასთან და ლიკვიდაციასთან

დაკავშირებული პრეტენზიების ხანდაზმულობის ვადა არის 5 წელი მათი წარმოშობის მომენტიდან - სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაციული კვიდაციიდან ან/და პარტნიორის გასვლიდან.

8. პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადანყვეტილების ნამდვილობის აუცილებელი პირობაა კრების ოქმი, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს კრების თავმჯდომარის მიერ.

სასწავლო უნივერსიტეტის პარტნიორები:

ქმოსტელი გულქან -----

ჩერქეზიშვილი ნუგზარ -----